

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



არჩევნები 2017: ხშირად დასმული კითხვები დამოუკიდებელი კანდიდატების შესახებ



Image not found

#არჩევნები2017

#GeorgianElections2017

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის ან თვითმმართველი ქალაქის/თემის მერობის კანდიდატის რეგისტრაცია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით,^[1] დაკმაყოფილდა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ სარჩელი,^[2] რის შედეგადაც, არაპარტიულ პირებს მიეცათ მერის/გამგებლის არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის წარდგინების საფუძველზე.

◦ რას ნიშნავს საინიციატივო ჯგუფი?

საინიციატივო ჯგუფი არის არანაკლებ 5 წევრისაგან შემდგარი საარჩევნო სუბიექტი, რომელიც უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის წარადგინოს **მაჟორიტარი კანდიდატი**, ხოლო თვითმმართველი ქალაქის/თემის მერის არჩევნებისათვის წარადგინოს **მერობის კანდიდატი**. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს **მხოლოდ ერთი კანდიდატი**. საინიციატივო ჯგუფის წევრი **არ შეიძლება** იმავდროულად იყოს სხვა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წევრი.

◦ რას ნიშნავს დამოუკიდებელი კანდიდატი?

- დამოუკიდებელ კანდიდატს უწოდებენ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მერობის/მაჟორიტარობის კანდიდატად წარდგენილია საინიციატივო ჯგუფის მიერ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სრული ვერსია იხილეთ ქვემოთ დართულ დოკუმენტში.

ფინანსურ პროცედურებზე ინფორმაცია იხილეთ **ბმულზე**

რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ **ბმულზე**